სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი №3 სექტემბერი, 2018 წ.

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge

ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ამ ხმა ჰგავდეს დიევანდელს, თუ კაცს პმოგტესი,
წინსელა დაბმიანისა თუნ სიფცვა ამ მიასხნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის პრეზიდიუმის მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა

2018 წლის 26 ივლისს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, სადაც განხილული იყო ერთი საკითხი: "მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების პერსპექტივები საქართველოში".

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდნენ აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები და მოწვეული სტუმრები, მათ შორის: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრიდან, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის აგროსერვის ცენტრიდან; ახმეტის, სიღნაღის, ვანისა და ხონის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებიდან, იმერეთის რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრიდან, მეაბრეშუმეობის სახელმწიფო მუზეუმიდან, ასევე მეაბრეშუმე სპეციალისტების დიდი ჯგუფი ახმეტიდან, სიღნაღიდან, აჭარიდან, თბილისიდან და სხვა.

პრეზიდიუმის გაფაერთოებული სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, **აკად. გურამ ალექსიძემ.**

სხდომაზე ძირითადი მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი მეაბრეშუმეობის მიმართულებით, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გიორგი ნიკოლეიშვილი**, რომელიც დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა თემით "მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-

განვითარების პერსპექტივები საქართველოში” და BACSA-ს კოორდინატორი საქართველოში, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი **ელგუჯა შაფაქიძე**, რომელმაც ისაუბრა შემდეგი საკითხის ირგვლივ “შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) როლი საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების მიმართულებით”.

საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ: - ხონის მუნიციპალიტეტის მერს ლადო ჯურხვაძეს, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის დირექტორის მოადგილეს ნოდარ ხატიაშვილს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსს და სამინისტროს მეაბრეშუმეობის კომისიის თავმჯდომარეს ნოდარ ხოხაშვილს, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მთავარ სპეციალისტებს ნარგიზ ბარამიძეს და ნოდარ სტეფანიშვილს, მეაბრეშუმეებს ახმეტიდან და სიღნაღიდან ნუნუ ნახუცრიშვილს და ლამარა ბეჟაშვილს, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს ნინო კუპრავას, აჭარის აგროსერვის ცენტრის დირექტორს გოჩა ბერიძეს, აკადემიის ნამდვილ წევრებს, აკადემიკოსებს ზაურ ფუტკარაძეს და ნოდარ ჭითანავას, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკად. გივი ჯაფარიძეს.

სხდომაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მეაბრეშუმეობაში შექმნილი მდგომარეობა საგანგაშოა. გასული საუკუნის 60-იან წლებში ქვეყანაში იწარმოებოდა 4,0-4,2 ათასი ტონა ცოცხალი პარკი, 4,5-5,0 ტონა გრენა, 450-500 ტონა ნატურალური აბრეშუმის ხამი ძაფი, 4,5-5,0 მილიონი გრძივი მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი და სხვა პროდუქცია. სოფლის მოსახლეობა, მხოლოდ ცოცხალი პარკის რეალიზაციიდან ღებულობდა 16,5-17,5 მილიონ მანეთს, ამასთან, დარგში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, მრეწველობაში მუშაობდა 5,5-6,0 ათასი კაცი, ხოლო მეაბრეშუმეობის სამმართველოს სიტემაში - 800 კაცზე მეტი.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თუთის დაავადება “ფოთლის სიხუჭუჭის” გამოვლინება_გავრცელების შედეგად განადგურდა 15 მილიონამდე ძირი ჯიშიანი თუთის ხე. ამას დაემატა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სიძნელეები (განსაკუთრებით სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა მაღალჩინოსანთა სუბიექტური შეხედულებები - თითქოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეაბრეშუმეობას განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდა); გარდამავალი ეტაპის სირთულეებმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის ტრადიციულად ჩამოყალიბებული დარგის - მეაბრეშუმეობის ლიკვიდაცია. გაუარესდა ეკოლოგიური გარემო, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები, დაეცა დასაქმების დონე და მასშტაბური ხასიათი მიიღო მიგრაციამ, სოფლების დაცარიელების პროცესი კვლავ გრძელდება. მეაბრეშუმეობა, როგორც დარგი თითქმის თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს.

მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია–აღორძინება რეალურად მოითხოვს შესაბამის ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემის ჩამოყალიბებას, ამ პროცესის დაჩქარებულ განხორციელებას საქართველოს ეკონომიკის განვითარების, ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და შრომითი ტრადიციების გათვალისწინებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას საჭიროდ მიაჩნია, რომ აკადემიამ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სხვა ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით შეადგინოს დარგის განვითარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა (2020-2030 წწ), მოაწყოს მისი განხილვა და შესაბამის ორგანოებში დასამტკიცებლად წარადგინოს;

პრეზიდიუმის გაფაროებულ სხდომაზე მიღებული იქნა შესაბამისი დეკლარაცია, რომელიც სხდომის მონაწილეთა მოთხოვნის შესაბამისად გაეგზავნება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ მამუკა ბახტაძეს და პარტია “ქართული ოცნების” თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი უკრაინაში

2018 წლის 2-6 ივლისს უკრაინის დედაქალაქ კიევში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: „ევრაზიის ბიომრავალფეროვნება 2018“, მასში 12 ქვეყნის მეცნიერ-მკვლევარები მონაწილეობდნენ. საქართველოდან სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რეზო ჯაბნიძემ, რომელიც არჩეული იყო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრად და მრავალწლიანი კულტურების სექციის ხელმძღვანელად. სიმპოზიუმზე სამი სექცია მუშაობდა, სადაც ასამდე მოხსენება წაიკითხეს, რომელიც ევრაზიის ბიომრავალფეროვნებას და მისი დაცვა-შენარჩუნების პრობლემებს ეხებოდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გლობალური დათბობის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების და ამ მხრივ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ერთობლივი გეგმის შემუშავების საკითხებს. მიღებული იქნა შესაბამისი რეზოლუციაც.

სიმპოზიუმზე აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის მიერ წაკითხული იქნა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. მერაბ ხალვაშის წერილი, 2019 წელს ანალოგიური სიმპოზიუმის ბათუმში ჩატარების სურვილისა და მიზანშეწონილობის შესახებ, რასაც სიმპოზიუმის მონაწილეები დიდი ინტერესით შეხვდნენ.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობას მეცნიერები გაეცნენ

2018 წლის 23 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობის გაცნობის მიზნით, სამეგრელოს რეგიონში მეცნიერებისთვის ტური მოეწყო. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა (აკადემიკოსები გ. ალექსიძე, ი. ვასაძე, გ. მარგველაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, , ვ. ცანავა, თ. რევიშვილი, რ. კოპალიანი, ზ. ჩაქსელიანი, ზ. ცქიტიშვილი, თ.ურუშაძე) და საქართველოსმეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა დაათვალიერეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბი, მობილიზებული ტექნიკა და საშუალებები, მოისმინეს დეტალური ინფორმაცია შტაბის ფუნქციონირების, მონიტორინგის შედეგების, გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; გაეცნენ აბაშის მუნიციპალიტეტში არსებული საყანე ფართობების ქიმიური დამუშავების პროცესს.

მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით, მავნებლის პოპულაციის შემცირება სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული და სისტემური მიდგომის შედეგია.

მეცნიერებთან შეხვედრას ესწრებოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, რომელმაც ხაზი გაუსვა სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და სტიმულის მომცემია საკოორდინაციო შტაბში ასეთი რანგის მეცნიერების სტუმრობა. ფაროსანასთან ბრძოლა პირდაპირ კავშირშია მეცნიერებასთან, სამეცნიერო კვლევებთან. შესაბამისად, ჩვენ საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიასთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. სტუმრებს შტაბის მუშაობა დეტალურად გავაცანით, სრული დემონსტრაცია მოვახდინეთ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისა, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს, ფაროსანასთან ბრძოლაში საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს. პოპულაცია მნიშვნელოვნად შემცირებულია. მინიმუმამდეა დაყვანილი გავრცელების რისკები სხვადასხვა რეგიონში. ვფიქრობ, რომ ეს არის სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგი“.

სიტყვით გამოვიდა ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გურამ ალექსიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ "ის, რაც ქართველმა მეცნიერებმა და სპეციალისტემა გააკეთეს, უდავოდ გასაკვირია. დღეს შესანიშნავად წარმოგვიდგინეს ყველაფერი, ყველა ის ქიმიური და სხვა ღონისძიება, რომელიც ფაროსანასთან ბრძოლისა და მათი რიცხობრიობის შესამცირებლად აუცილებელია. მათი სტრატეგია საკმაოდ კარგია და შედეგიც ცალსახაა. შედარებაც კი არ შეიძლება იმასთან, რაც შარშან ამ დროს აქ ხდებოდა.“

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი პირები, სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებული ლევან შონია და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) წარმომადგენლები.

ექსპერტთა საკონსულტაციო თათბირი პრაღაში (ჩეხეთის რესპუბლიკა)

2018 წლის 28-30 აგვისტოს ჩეხეთის რესპუბლიკისა და FAO-ს მოწვევით პრაღაში ჩატარდა ექსპერტთა საკონსულტაციო თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, ოფიციალურმა პირებმა, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა. ისინი განიხილავდნენ ბიოუსაფრთხოების საკითხებს, უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას გენური ინჟინერიის უპირატესობებზე, რისკებზე და რეგულაციის საკითხებზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან საკონსულტაციო თათბირში მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე. აღნიშნულ ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ წარმომადგენლები: ავსტრიიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ბელარუსიდან, ბოსნია-ჰერცოგოვინადან, ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, გერმანიიდან, მოლდოვადან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, სერბეთიდან, თურქეთიდან და უკრაინიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ქვეყნების მთავრობები თანამედროვე ბიოტექნოლოგიის სფეროში იყენებენ ორმხრივ პოლიტიკას. ეს არის „მაქსიმალური უპირატესობა და რისკების მინიმიზაცია.“

„მაქსიმალურ უპირატესობაში“ მოიაზრება სასურსათო უსაფრთხოება და კვების გაუმჯობესება, კლიმატის ცვლილებების მიმართ ადაპტაცია და მისი ზეგავლენის შესუსტება, ასევე ბუნებრივ რესურსებზე ზეწოლის შემცირება. რისკების მინიმიზაციაში კი მოიაზრება ბიოუსაფრთხოების სფეროში ეროვნული სისტემებისა და წესების შემუშავება და დანერგვა.

FAO-ს სპეციალისტმა ნევენა ალექსანდროვა-სტეფანოვამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დახმარება გაეწიოს მთავრობებს რათა მათ განამტკიცონ თავიანთი ცოდნა ბიოტექნოლოგიის სფეროში და ეს მიღწეული უნდა იქნეს იდეების ურთიერთგაცვლით ყველა დონეზე. მან ასევე აღნიშნა, რომ კვლევები და ინოვაციები თამაშობენ გადამწყვეტ როლს დღევანდელი და ხვალინდელი პრობლემების გადაჭრაში, ამიტომაც რთული ამოცანები რთულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

თათბირი ჩატარდა პრაღის მემცენარეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მონაწილეებმა დაათვალიერეს ინსტიტუტის გენეტიკური რესურსების ბანკი და საცდელი ნაკვეთები.

საქართველო-კორეის ერთობლივი ექსპედიცია

მიმდინარე წლის 1-6 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სამუშაო ვიზიტით ეწვია სამხრეთ კორეის დელეგაცია, კიმ სონ დოკის (კორეის მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტი), პარკ ჰე ჯინი (კორეის მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტი), პროფესორი ჰუნ ჰე კიონის (კორეის იონამის უნივერსიტეტი) შემადგენლობით.

შეხვედრა განხორციელდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის განვითარების ადმინისტრირების აგრობიო-მრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომლის

მიზანი და ამოცანაა მცენარეთა გენეტიკური რესურსების გაცვლის, მართვისა და კვლევის ორმხრივი თანამშრომლობის სისტემის განხორციელება. საქართველოს მხრიდან ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და აგრობიომრავალფეროვნების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე დოქტ. ანატოლი გიორგაძე, ცენტრის სწავლული

მდივანი დოქტ. თინათინ ეპიტაშვილი..

ვიზიტის ფარგლებში ექსპედიციის მონაწილეებმა მოინახულეს "მეღვინეობა ხარებას" ყვარლის ვაზის საკოლექციო ნარგაობა, ალაზნის ველის განაპირას მდებარე „მეღვინეობა ხარებას" უნიკალური ღვინის საცავი – გვირაბი, სადაც სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ვაზის ქართულ ენდემურ ჯიშებს, დააგემოვნეს ღვინის სხვადასხვა სახეობა. მათ ასევე მოინახულეს "კორპორაცია ქინძმარაული"-ს ღვინის ქარხანა ყვარელში, სადაც საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ღვინის წარმოების როგორც ძველ, ტრადიციულ, ასევე ახალ ტექნოლოგიებს. სპეციალურად სტუმრებისთვის მოეწყო ღვინის 7 სახეობის დეგუსტაცია.

ექსპედიციის ფარგლებში სამხრეთ კორეის მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში გაგზავნილი იქნა კახეთის და აჭარის რეგიონში შეგროვებული ქართული ვაზის გენეტიკური რესურსების 52 ნიმუში, მათი ქსოვილის კულტურის მეთოდით გამრავლების მიზნით. მომავალში გათვალისწინებულია ქართველი სპეციალისტების მივლინება კორეაში.

საერთაშორისო სიმპოზიუმი ნუტრიციოლოგიაში

მიმდინარე წლის 12-13 სექტემბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი ნუტრიციოლოგიაში. სიმპოზიუმი ტარდებოდა შემდეგი დევიზით: "ნუტრიციოლოგიისა და ჯანმრთელობის ურთიერთკავშირი – თანამედროვე ტენდენციები."

პირველ დღეს სიმპოზიუმში მონაწილე წევრებს უმასპინძლა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, ხოლო მეორე დღეს – 13 სექტემბერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ. სხდომა გახსნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან აღნიშნა, რომ იგი მიესალმება საქართველოში ნუტრიციოლოგთა საზოგადოების ჩამოყალიბებას და ნუტრიციული სტატუსის ზედამხედველობის სისტემის ფორმირებას. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკადემიაში ფუნქციონი-

რებს 6 სამეცნიერო განყოფილება, რომელთაგან ერთ-ერთი – "სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიების" სწორედ სურსათთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს იხილავს. სამეცნიერო განყოფილებას ხელმძღვანელობს აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი, რომელიც ყოველთვის სწრაფ რეაგირებას ახდენს ქვეყანაში წარმოქმნილ საკვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხზე და მაქსიმალურად ცდილობს ქვეყნის მოსახლეობას თავიდან აარიდოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეები.

სიმპოზიუმს მრავლად ესწრებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სპეციალობის წარმომადგენელი, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები. უცხოელი სტუმრებიდან სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბრიტანელმა და ირლანდიელმა ნუტრიციოლოგებმა. დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებით თემაზე: "ნუტრიციოლოგთა საზოგადოების შექმნის მიზნები, ამოცანები და პერსპექტივები საქართველოში" წარსდგა ბატონი მარკ ჰოლინგსვორსი. მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ზ. ცქიტიშვილმა, პროფესორებმა: რ.ღვამიჩავამ, ქ. დადიანმა, შალვა ზარნაძემ, ნათაძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ნატა კაკაბაძემ და სხვებმა. კრებამ საქართველოს ნუტრიციოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბრიტანეთის ნუტრიციოლოგთა ასოციაციის წევრი, ქალბატონი მანანა გობეჯიშვილი. ქალბატონმა მანანამ დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ნდობისათვის და პირობა დადო რომ ძალისხმევას არ დაიშურებს საქართველოში ნუტრიციოლოგიის მეცნიერების განვითარებისათვის.

ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონული კომისიის რიგით 28-ე კონფერენცია

მიმდინარე წლის 17-21 სექტემბერს თბილისში (სასტუმრო Holiday Inn) ჩატარდა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონული კომისიის რიგით 28-ე კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მაღალი დონის წარმომადგენლები. მათ შორის გენერალური დირექტორი, ორგანიზაციის პრეზიდენტი, რეგიონში შემავალი 53 წევრი ქვეყნის დელეგატები, ვეტერინარიის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

კონფერენცია ოფიციალურად გახსნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან და ორგანიზაციის პრეზიდენტთან ერთად.

სოფლის მეურნეობის მეცნირებათა აკადემიიდან კონფერენციის მუშაობაში ოფიციალურად მიწვეულები იყვნენ აკდემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი და ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი საქართველო - 2018

22 სექტემბერი - 1 ოქტომბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები სხვადასხვა სახალისო-სამეცნიერო აქტივობებით იყვნენ წარმოდგენილი. ფესტივალში მონაწილეობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სან დიეგოს უნივერსიტეტი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, სხვადასხვა კერძო კომპანიები და მეცნიერების სფეროს უცხოელი წარმომადგენლები. მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2015 წლიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით იმართება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საგამოფენო სივრცეს ხელმძღვანელობდნენ აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. საგამოფენო სივრცის მომზადებასა და წამოდგენაში მონაწილეობდნენ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის სწავლული მდივნები დოქტორები რევაზ ლოლიშვილი და მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი. აკადემიის საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი იყო აკადემიის მიერ ბოლო ხუთი წლის მანძილზე შექმნილი ინტელექტუალური პროდუქცია: მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, რეკომენდაციები, სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები.

2018 წლის მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მასპინძლობს. ფესტივალი 1 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება და ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება სამეცნიერო და შემეცნებითი ღონისძიებები - გამოფენები, საჯარო ლექციები, კონფერენციები, ტრენინგები, ვორქშოპები, ღია კარის დღეები, უახლესი სამეცნიერო გამოცემებისა და პროექტების პრეზენტაციები, გასვლითი ღონისძიებები და სხვა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 25 სექტემბერს გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები“, ხოლო 27 სექტემბერს თბილისის 31-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „ფრინველი და ფიზიკა“ - დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; „საქართველოს გარემოს დაბინძურება„ - დოქტორი რევაზ ლოლიშვილი

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ: თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

როგორც თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, ფესტივალი რეგიონული მნიშვნელობისაა, რადგან მასში მონაწილეობას

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელი სტუმრები იღებენ. მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში 500-ზე მეტი ღონისძიებაა დაგეგმილი. გაიმართება სახალისო აქტივობები. ფესტივალის განმავლობაში იქნება საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის მეცნიერების დღეები, სადაც მონაწილეობას მიიღებს პარტნიორი ქვეყნებიდან ჩამოსული 200-ზე მეტი უცხოელი სტუმარი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა იყოს ჩართული. „სიმბოლურია, რომ ფესტივალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს, ის უნივერსიტეტი, რომლის სათავეებთანაც ჩვენი ყველაზე დიდი ქართველი მეცნიერები იდგნენ. მომავალი ნამდვილად მეცნიერებას, ინოვაციებს, ტექნოლოგიებს ეკუთვნის. მეცნიერების, კვლევებისა და ინოვაციების განვითარება არის და იქნება ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი,“ - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე თევზაძის ინფორმაციით, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი თბილისის გარდა ბათუმსა და ქუთაისშიც ტარდება.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის სტუმრებს საშუალება ქონდათ მონაწილეობა მიეღოთ გერმანული, იტალიური და ფრანგული მეცნიერების დღეებში, დაათვალიერეს ცერნის ლაბორატორიის ინტერაქტიული გამოფენა. მათ ერთი დღე გაატარეს გრაკლიანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ჩაერთვნენ სამეცნიერო პიკნიკში ბათუმსა და ქუთაისში.

1 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილია ევროპის აკადემიის რეგიონალური ჰაბის გახსნა. თსუ ასევე უმასპინძლებს ევროკომისიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით გამართულ კვლევისა და ინოვაციის აღმოსავლეთ პარტნიორობის პანელის საერთაშორისო კონფერენციას „EU4Innovation: კვლევებისა და ინდუსტრიების კავშირების ხელშეწყობა“.

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი საქართველო - 2018

სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოში მეცხოველეობისა და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“

ამა წლის 25 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: ”საქართველოში მეცხოველეობისა და ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები”.

აღნიშნული ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ “მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს 2018”. კონფერენცია გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან ისაუბრა ქვეყანაში არსებულ მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მდგომარეობაზე და გამოთქვა იმედი, რომ ქართველი მეცნიერები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით ყოველგვარ ღონეს იხმარენ, რათა აღნიშნული დარგების წინაშე მდგარი პრობლემები

დროულად იქნეს გადაჭრილი. ამის შემდეგ მან აკადემიის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ის მეცნიერები, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგის განვითარებაში.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნა მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე მოხსენებები. თითოეული მოხსენების შემდეგ იმართებოდა დისკუსიები, რომლებსაც მეტად საქმიანი ხასიათი ჰქონდა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა მეცხოველეკობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა მონაწილეებს წარმოდგენილი პრეზენტაციებისათვის და დამსწრე საზოგადოებას კონფერენციის მსვლელობის პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის.

ჩინეთის სპეციალისტების ვიზიტი

ჩინეთის ლუდონგის უნივერსიტეტის სპეციალისტების ვიზიტი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

მიმდინარე წლის 26 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სტუმრად იმყოფებოდნენ ჩინეთის იანტაის პროვინციის ლუდონგის უნივერსიტეტის ორი პროფესორი იანსენ ჩენგი და ფა კუი. ვიზიტის მიზანი იყო ჩინეთის ამ უნივერსიტეტსა და ჩვენს აკადემიას შორის კავშირის დამყარება ორი მიმართულებით: მევენახეობის და მარცვლეული კულტურების ხაზით. სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენის დარბაზები, გაეცნენ სტრუქტურას და აკადემიის მუშაობის ძირითად მიმართულებებს. დაისახა ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი

მიმართულებები, რომლებიც მოგვიანებით გაფორმდება ოფიციალური ხელშეკრულებით. ჩვენი სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ქართული ვაზის და ხორბლის ჯიშებით, რომელთა შესწავლასაც ისინი გეგმავენ მომავალ წელს ჩინეთში. ამავე დროს, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ მომზადდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სადაც დეტალურად გაიწერება ქართველი და ჩინელი მეცნიერების შემდგომი მუშაობის პრიორიტეტები. ჩინეთის მხარემ გამოთქვა სურვილი მომავალი წლის მაისის თვეში მიიწვიოს ქართველი სპეციალისტები იანტაის პროვინციაში და გააცნოს უნივერსიტეტში სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით ჩატარებული კვლევები. აღსანიშნავია, რომ იანტაის პროვინცია ჩინეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი რეგიონია და მისი გაცნობა ჩვენი აკადემიის მეცნიერებისათვის სასარგებლო იქნება.

საჯარო ლექცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი საქართველო - 2018

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საჯარო ლექცია თემებზე: 1 . "ფრინველი დაფიზიკა", მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინა ბარვენაშვილი; 2. "საქართველოს გარემოს დაბინძურება", მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი რევაზ ლოლიშვილი. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ "მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018 "-ის ფარგლებში.

ლექციას ესწრებოდნენ ქ. თბილისის 31 -ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი მარინა ნიჟარაძე და ამავე სკოლის უფროსკლასელები. მათ მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, რომელმაც ფართოდ ისაუბრა აგრარული მეცნიერებისა და აგრაული დარგის მნიშვნელობაზე. მან მოსწავლეებს უსურვა წარმატება მათ ძირითად საქმიანობაში - სწავლაში და გამოთქვა დიდი იმედი იმისა, რომ ბევრი მათგანი თავის მომავალ პროფესიას აგრარულ დარგს დაუკავშირებდა. რაც შეეხება მოხსენებებს, პირველი თემის ირგვლივ საუბარი წარიმართა პლანეტაზე არსებულ ფრინველთა მრავალფეროვნებაზე, იმაზე, თუ როგორ დააცილა ისინი ერთმანეთს საარსებო გარემოს განსხვავებულმა პირობებმა და ნაირგვარი საკვების გამოყენებამ. ლექციის მსვლელობისას მოსწავლეები გაეცნენ ფრინველის ანატომიურ აგებულებასა და ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, ასევე მათ ქცევებს. შემდეგ მათ პასუხი გასცეს კითხვებს, რომელიც ეხებოდა ფრინველის ფიზიკას. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული მთელი ლექციის მსვლელობის პროცესში, კითხვებს სვამდნენ მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ, რაზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს. მოსწავლეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მეორე თემაც. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ისეთმა დამაბინძურებლებმა, როგორიცაა ტოქსიკური მეტალები, რადიონუკლიდები, პესტიციდები, პოლიეთილენის ნაწარმი. მოსწავლეებმა გაიგეს თუ რაოდენ დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის თეთრ დარიშხანს, მძიმე მეტალებს. რომ დამაბინძურებლების უმრავლესობა იწვევს ავთვისებიან სიმსივნეებს და სხვა მძიმე დაავადებებს. მოსწავლეებმა მსგავსი თემების დამუშავებაში ჩაბმის სურვილი გამოთქვეს.

ლექცია შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორმა, დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ

მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მეცნიერებთან ერთად თემის დამუშავებაში მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეებიც და შესაბამისი თემატიკა უნდა შეირჩეს მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

ბოლოს, სიტყვით გამოვიდა ქ. თბილისის 31 -ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი მარინა ნიჟარაძე, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა აკადემიის ხელმძღვანელობას, მომხსენებლებს და გამოთქვა მზაობა მომავალი თანამშრომლობისათვის.

* * *

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 8 საკითხი. მათ შორის: სუბტროპიკულ მემცენარეობაში ორგანული წარმოების პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ვალერიან ცანავა;** ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრში სამხრეთ კორეის რესპუბლიკის მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და კორეის უნივერსიტეტის მეცნიერების ვიზიტისა და ერთობლივი ექსპედიციის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;** ინფორმაცია ევროპის ექსპერტთა საკონსულტაციო თათბირის შესახებ (პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა). **მომხსენებელი: პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** ინფორმაცია ნუტრიციოლოგიაში საერთშორისო სიმპოზიუმის შესახებ (თბილისი, 12-13 სექტემბერი). **მომხსენებელი: სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;** ინფორმაცია 17-21 სექტემბერს თბილისში გამართულ ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონული კომისიის რიგით 28-ე კონფერენციის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი;** ინფორმაცია "მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018"–ის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, ***აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის ***დოქტორი ანატოლი გიორგაძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის ***დოქტორი გივი მოსაშვილი***

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.